ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3342445

ნომერი: AR1488679

თარიღი : 23.03.2017

გაცემის თარიღი : 21.06.2017

გაცნობის თარიღი : 21.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი ერეკლე II , N 3 , / ქალაქი თბილისი , მოედანი ერეკლე II , N 3 , მიმდებარედ , ნაკვეთი 35/016 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , (ნაკვეთი 35/009) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , (ნაკვეთი 45/020) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , (ნაკვეთი 35/015) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დიმიტრი ვაჩნაძე პ/ნ 01008009697
- ჭავჭავაძის 29-3133 ბინა 67

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ,,ჰაუსარტ ლუქსი" კოდი: 205255551

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: #1980835; #2434829 25.02.2016 წ.
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 29.06.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით გოგიჩაიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს. "ჰაუსარტ ლუქსი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205255551

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს. "ოლდ სითი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405034626
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი ქარსელაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60003000075

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 889.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 698.6
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4007.45
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 591.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 259.5
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 357.5
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 1403.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 18480.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 16260.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2220.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 32.15
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 24.75
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 7.4
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 685 კვ.მ. კ1=0.8
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3770.4 კვ.მ. კ2=4.2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 1395.35

ქ. თბილისში (სექტორი - კრწანისი), ერეკლე II მოედანი N3 / ერეკლე II მოედანი N3 მიმდებარედ, (ნაკვეთი 35/016) / ერეკლე II ქუჩა, (ნაკვეთი 35/009) / ერეკლე II ქუჩა, (ნაკვეთი 45/020), ერეკლე II ქუჩა (ნაკვეთი 35/015), შპს ,,ოლდ სითი''-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.18.03.035.023), სასტუმროს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182581 ბრძანების მე–5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების დადასტურების შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 23.03.2017წ. NAR1488679 განაცხადით მომართა შპს ,,ოლდ სითი''-ს წარმომადგენელმა დ. ვაჩნაძემ, რომელიც ითხოვდა ქ. თბილისში თბილისში (სექტორი - კრწანისი), ერეკლე II მოედანი N3 / ერეკლე II მოედანი N3 მიმდებარედ, (ნაკვეთი 35/016) / ერეკლე II ქუჩა, (ნაკვეთი 35/009) / ერეკლე II ქუჩა, (ნაკვეთი 45/020), ერეკლე II ქუჩა (ნაკვეთი 35/015), შპს ,,ოლდ სითი''-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.18.03.035.023), სასტუმროს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.
"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტისN57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტისN4-13 გადაწყვეტილების თანახმად, გაიცა 2017 წლის 31 მარტის №3182581 ბრძანება, რომლის მე–5 პუნქტით დამკვეთს დაევალა: ,,წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში წარმოადგინოს საპროექტო მიწის ნაკვეთზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობა, დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და შენობა-ნაგებობის ფუძე- საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების დადებითი საბოლოო დასკვნა, ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის)

შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ან/და ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან''.
აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურს მომართა შპს ,,ოლდ სითი''-ს წარმომადგენელმა დ. ვაჩნაძემ და წარმოადგინა 2017 წლის 31 მარტის №3182581 ბრძანების მე–5 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, კერძოდ, შენობა-ნაგებობის ფუძე- საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების დადებითი საბოლოო დასკვნა და შ.პ.ს. ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის'' 12.06.2017 წლის № OG17-40946 წერილი.
წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნა შესრულებულია და წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტაციას.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შესრულებულად ჩაეთვალოს შპს ,,ოლდ სითი''-ს სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182581 ბრძანების მე–5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა და წარმოდგენილი დოკუმენტი დაერთოს შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციას;
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 01 ივლისიდან 2019 წლის 01 ივლისის ჩათვლით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №3182581 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.